

# ვინ არიან პატარა “ბენდუკები”, რომლებმაც ქართველი კაცის სინდისი გაყიდეს?

გაზეთი “ყველა სიახლე” – 19-25 თებერვალი, № 7, 2009

პროფესორი ლადო პაპაშვილი დაუფარავი გულისტკივილით საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც ბოლო წლებში ქართულ ინტელიგენციას და საერთოდ, ჩვენს საზოგადოებას დაუგროვდა. მისი თქმით, ქვეყანაში არაფერი შეიცვლება მანამ, ვიდრე არსებობენ ადამიანები, ვისაც შეუძლია 30 ვერცხლად გაყიდოს არა მხოლოდ საკუთარი ხმა, არამედ თავისი სამშობლოს, შეილებისა და ოჯახის მომავალი. “სწორედ ასეთი ადამიანების დამსახურებაა ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება”, – ამბობს ბატონი ლადო. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

– ბატონო ლადო, საახალწლოდ პრეზიდენტმა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს ინდაურები გაუგზავნა, რითაც ნამდვილი ფურორი მოახდინა. თქვენ თუ მიიღეთ ეს ორიგინალური საჩუქარი?

– საერთოდ, ახალი წელი ერთგვარი წყალგამყოფია, რომლითაც ადამიანი რაღაცას წარსულს აბარებს და მომავალს იმედის თვალით უყურებს. ბუნებრივია, საახალწლოდ ადამიანები ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნიან. თუმცა, იმას, რაც დეკემბრის ბოლო დღეებში მოხდა, მე ამორალობად ვაფასებ: როდესაც პრეზიდენტი ინდაურებს უგზავნის კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკებს, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში შიმშილია. როცა შენი ქვეყნის წამყვან ფენას ინდაურებს უგზავნი, ე.ი. კარგად იცი, რომ ეს ფენა მშიერია. მით უმეტეს, როცა ეს საჩუქარი მიიღეს ადამიანებმა, რომელთა დიდი ნაწილი სამართლიანად მიიჩნევენ თავიანთ თავს ჩარეცხილებად. ახლა ჩემზეც გეტყვით: ჩვენს სადარბაზოში ვცხოვრობთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორი წევრ-კორესპონდენტი. ჩემი მეზობელი შესანიშნავი მეცნიერია, ის ორი სართულით

დაბლა ცხოვრობს. ოპოზიციონერი არ არის, მაგრამ თავისი ბუნებით ამ რეჟიმის აშკარა მოწინააღმდეგეა. სხვათა შორის, მას ინდაური მიუტანეს, ჩემთვის კი არ მოუტანიათ, რაც ძალიან მემამაყება – ეტყობა არ მაკადრეს, მიხვდნენ, რომ მაინც არ დავიტოვებდი.

**– პრეზიდენტმა სპეციალური შეხვედრა გამართა ქართველ ექსპერტებთან. ბევრმა ეს ინტელიგენციასთან ურთიერთობის გამოსწორების ერთგვარ მცდელობად ჩათვალა. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ნაბიჯს?**

– ჩემთვის ამ შეხვედრაზე დაუძახიათ. თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა მკითხველს შევახსენო, რომ საქართველოში უკვე არსებობს ეკონომიკური საბჭო, რომელიც 2005 წლის დასაწყისში შეიქმნა და რომლის თავმჯდომარე თვით მიხეილ სააკაშვილია. როცა ეს ეკონომიკური საბჭო შეიქმნა, მასში პრეზიდენტის გარდა 9 წევრი ვირიცხებოდათ. საბჭო შეიკრიბა ერთადერთხელ – 2005 წლის მარტში და ამის შემდეგ აღარავის გავხსენებიათ. ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა. სამწუხაროა, მაგრამ ამ საბჭოს ორი წევრი უკვე გარდაიცვალა, რატომღაც, ისინი დღესაც არავის გამოუყვანია საბჭოს შემადგენლობიდან. ფაქტია, რომ თუ პრეზიდენტს აინტერესებს და სურს ეკონომისტების მოსმენა, მას აქვს კარგი ინსტრუმენტი ეკონომიკური საბჭოს სახით. მინდა გითხრათ, რომ იმ შეხვედრაზე, რომელზეც თქვენ მეკითხებით, საბჭოს არც ერთი წევრი არ ყოფილა მოწვეული. თვითონ ის ფორმატი, რომლითაც შეხვედრა ჩატარდა, ნიშნავს, რომ ეს ხალხი უფრო პიარისტვის იყო გამოძახებული, ვიდრე საქმისათვის. ხომ არ შეიძლება ერთ შეხვედრაზე ილაპარაკო ეკონომიკისა და მედიის პრობლემებზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, რუსეთთან ომზე, ნატოში გაწევრიანებაზე და ა.შ. ასეთ შეხვედრას აზრი აქვს მაშინ, როცა ეს ყველაფერი პიარზეა გათვლილი, რასაც მიაღწიეს კიდევ. თუ პრეზიდენტს ეკონომიკის სფეროში არსებული პრობლემები აინტერესებს, მას შეუძლია მიმართოს ეკონომიკურ საბჭოს, რომელიც მას ჯერ არ გაუუქმებია. ალბათ, ყველაზე ლოგიკური და ეთიკური იქნება ჯერ ის ორი გარდაცვლილი ადამიანი გამოიყვანონ საბჭოს შემადგენლობიდან, შემდეგ კი საერთოდ დაშალონ, თუ აღარ სჭირდებათ.

– თანამდებობა დატოვა კახა ბენდუქიძემ, რომელსაც ქართული ეკონომიკის მამას და არქიტექტორს ეძახიან. როგორ ფიქრობთ, შეიცვლება ამით რაიმე, თუ არა?

– ის, რომ კახა ბენდუქიძე გილაურმა ჩამოაშორა მთავრობას, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. კაცმა არ იცის, რა სტატუსით დარჩება სააკაშვილის გუნდში. გაზეთის მკითხველს შევახსენებ ლადო გურგენიძის ფენომენს, რომელიც გაუშვეს პრემიერ-მინისტრობიდან, მერე კი, როგორც იტყვიან, “ჩაუსასტავეს” გეგა მგალობლიშვილს და ნიკა გილაურს. გახსოვთ, ალბათ, როცა შეიქმნა ე.წ. საფინანსო საბჭო, თუ კომისია, იქ თანათავმჯდომარეებად დანიშნეს მოქმედი და ყოფილი პრემიერ-მინისტრები ერთად: გეგა მგალობლიშვილი და ლადო გურგენიძე. ეს ხომ საერთოდ კურიოზული ფაქტია. შემდეგში, როცა გილაური გახდა პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტმა “ნაბუკოს” პროექტში აქტიური მონაწილეობა დაავალა ისევ გურგენიძეს და არა გილაურს. ასეთივე კონტექსტში რაღაც თანამდებობა შესაძლოა, ბენდუქიძესაც გამოუძებნონ: ის შეიძლება გახდეს ანტიკორუფციული საბჭოს თანათავმჯდომარე, ან მისი მოადგილე, გენერალური მდივანი, ან თუნდაც – პრეზიდენტის მრჩეველი... მილიონი სქემა არსებობს საამისოდ. ბენდუქიძის წასვლა არ ნიშნავს, რომ მისი ეპოქა დასრულებულია, რადგანაც მან ამ წლების განმავლობაში საკმაოდ ძლიერი, განტოტვილი ქსელის შექმნა მოახერხა. ეს არის ბენდუქიძის ხალხი – პატარა “ბენდუქები”, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში სხედან. ეს არის ხალხი, რომელიც ბენდუქიძემ თავის ჭკუაზე გამოზარდა. ისინი მუშაობენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, პრემიერ-მინისტრის აპარატში, სხვა უწყებებში და ყოველთვის გაატარებენ ბენდუქიძის ინტერესებს, რადგან ამ ძლიერი პიროვნების მიერ უხილავი ძაფებით იმართებიან. ვადიარებ, რომ კახა ბენდუქიძე მართლაც ძლიერი პიროვნებაა.

– ხომ ვერ დაგვისახელებთ რამდენიმე მათგანის სახელსა და ვინაობას?

– არ არის საჭირო. ამ ადამიანებს სახელი და გვარი არა აქვთ, ისინი “ბენდუქები”, პატარა ბენდუქიძეები არიან, ოღონდ, ჯერ – “განუვითარებლები”. ეს არის კახა ბენდუქიძის მიერ მონუსხული, ან თუნდაც, მოსყიდული ხალხი.

მათ საკუთარი პრინციპები და მეობა არა აქვთ, ბენდუქიძის პრობლემა ჯერ არ დასრულებულა. მან გაიყიდა ყველაზე მთავარი – ქართველი კაცის სინდისი, თუმცა ამტკიცებდა – სინდისი არ იყიდებაო. ის, რაც მისი იდეოლოგიით გაიყიდა საქართველოში, ხშირ შემთხვევაში იყიდეს ჩვენმა მტრებმა და ამ პროცესის სულისჩამდმელი სწორედ ბენდუქიძე და მისი გუნდია.

**– დაეუშვათ მოვიდა სხვა პოლიტიკური ძალა და სულ სხვა ეკონომიკური სტრატეგია აირჩია, შეიძლება ჩვენი მდგომარეობის გამოსწორება და გაუმჯობესება?**

– ჩემთვის მთავარია, ხალხს უნდა თუ არა სააკაშვილი და მისი გუნდი შეიცვალონ. სამწუხაროდ ამის პოტენციალს მე ჩვენს ხალხში დღეს ვერ ვხედავ. როცა ადამიანი 30 ვერცხლად ყიდის საკუთარ ხმას, მას არ უნდა ქვეყანაში რაიმე შეიცვალოს. უფრო მეტიც, დღეს ჩვენს ხალხში ჩამოყალიბდა სამარცხვინო სინდრომი, რომელსაც მე პოლიტიკურ გარყვნილებას დავარქმევდი. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საქართველოში არ არის მოთხოვნა სერიოზულ, დარბაისულ პოლიტიკოსებზე.

ჩვენი ამომრჩეველი პოლიტიკურად გარყვნილია, ამის გამო შარშანდელ საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილს ისეთმა ხალხმაც კი მისცა ხმა, ვინც მას თავგადაკლული ღანძღავდნენ. ხვალ ზურაბ ნოღაიდელმა რომ მოახერხოს და ხალხს ფული ჩამოურიგოს, ნოღაიდელი გახდება პრეზიდენტი. ამიტომაც ვამბობ – მთავარია რა უნდა ხალხს – 30 ვერცხლი, თუ საქართველოს მომავალი. თუ 30 ვერცხლი ურჩევნია, სააკაშვილი შეიძლება მისმა მსგავსმა შეცვალოს და იგივე განმეორდეს – პატარა “ბენდუქებმა” კაჭკაჭივით იმეორონ პრეზიდენტის თითოეული სიტყვა თუ გამონათქვამი და ქვეყანაში სინდისის ჩათვლით, ყველაფერი გაიყიდოს. ასეთია სამწუხარო რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ.

**ხათუნა ჩიგოგიძე**